პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | Пролетарии всех стран, соединяйтесь!

# საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული
1926 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

# Собрание Узаконений и Распоряжений
РАБОЧЕ-КРЕСТ. ПРАВИТ. ГРУЗИИ
1926 г.

Издание Народного Комиссариата Юстиции

| 1926 წ. ივნისის 10 | № 2 | ნაწ. პირველი | 1926 г. 10 июня | № 2 | Отд. ПЕРВЫЙ |
|---|---|---|---|---|---|

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.**

49. დადგენილება № 26 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის შესახებ“.

50. დადგენილება № 27 ც. ა. კ. „უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ [დებულებით].

51. დადგენილება № 28 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „შრომის კანონდებულებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ“.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.**

52. დადგენილება „1925-26 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 32 მუხ. საფუძველზე პრემიალური ფონდის გამოყენების წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ [დებულებით].

53. დადგენილება „კლინიკებში სტაჟდამთავრებულ შტატის სამეცნიერო მომუშავეთა (ორდინატორთა) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ მაჩვენებელ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში სტაჟდამთავრებულ შტატის ორდინატორების სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ [დებულებით].

## СОДЕРЖАНИЕ:

**Постановления Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров.**

49. Постановление № 26 ВЦИК и СНК „О порядке реквизиции и конфискации имущества частных лиц и обществ“.

50. Постановление № 27 ВЦИК „Об утверждении положения о комиссии помощи беспризорным детям“ [с положением].

51. Постановление № 28 ВЦИК и СНК „О порядке наложения административных взысканий за нарушения законоположений по труду“.

**Постановления Совета Народных Комиссаров.**

52. Постановление „Об утверждении положения о порядке использования премиального фонда согласно 32 ст. положения об едином сельско-хозяйственном налоге на 1925-26 год“ [с положением].

53. Постановление „О введении в действие положения об обязательной государственной службе для лиц, окончивших стаж штатных научных работников (ординаторов) клиник и штатных ординаторов центрально-показательных лечебно-санитарных учреждений Народного Комиссариата Здравоохранения [с положением].

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი.

54. ცირკულარი № 4769 [სახელმწიფო დაწესებულებათა თავისუფალი თანხების საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში სახელდახელო ანგარიშზე შეტანის შესახებ].

55. ცირკულარი № 4821 [სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ სამეურნეო ორგანოთათვის დახმარებისათვის მიმართვის აკრძალვის შესახებ].

56. ცირკულარი № 4884 [ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად და შესანახად საჭირო შემთხვევაში შრომის ბეგარის დაწესების შესახებ].

### Распоряжения Совета Народных Комиссаров.

54. Циркуляр № 4769 [О помещении свободных сумм государственных учреждений на текущий счет в сельско-хозяйственный банк Грузии].

55. Циркуляр № 4821 [О запрещении государственным учреждениям обращаться за помощью к хозорганам].

56. Циркуляр № 4884 [Об установлении дорожной повинности для устройства и содержания дорог местного значения].

---

## 49. დადგენილება № 26

### სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

### კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წლ. მარტის 10-ს თარიღით და 77 №-რით მიღებული დადგენილების 2 მუხ. წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხ. დანართის გასაუქმებლად, ადგენენ:

1. არავითარი ქონება არ შეიძლება იყოს რეკვიზიციაქმნილი ან კონფისკაციაქმნილი თუ არა იმ წესით, რაც ქვემოაღნიშნულ მუხლებშია გათვალისწინებული.

2. რეკვიზიციად ჩაითვლება სახელმწიფოს მიერ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის ისეთი ქონების იძულებითი და სასყიდლის გადახდით ჩამორთმევა ან დროებით დაჭერა, რაც კერძო პირის ან საზოგადოების ხელშია.

3. ქონების რეკვიზიცია შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს

## 49. Постановление № 26

### Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

### О порядке реквизиции и конфискации имущества частных лиц и обществ.

В порядке ст. 2 постановления 2 сессии 2-го Созыва ВЦИК-а от 10 марта 1924 г. за № 77, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет и Совет Народных Комиссаров С. С. Р. Грузии в отмену приложения к 69 и 70 ст. ст. Гражданского Кодекса постановляют:

1. Никакое имущество не может быть реквизировано или конфисковано иначе, как в порядке, предусмотренном в нижеследующих статьях.

2. Реквизицией считается применяемое в силу государственной необходимости принудительное возмездное отчуждение или временное из'ятие государством имущества, находящегося в обладании частных лиц и обществ.

3. Реквизиции имущества производятся лишь в исключительных случаях государственной необходимости и не иначе, как по постановлениям Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета, которые при-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგენს განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ საჭიროებასა და მარტოოდენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რასაც სისრულეში მოიყვანს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი.

4. მე-3 მუხლის თანახმად რეკვიზიციაქმნილი ქონების სასყიდელს განსაზღვრავს კომისია, რომელიც შესდგება საფინანსო ინსპექტორისა, სახალხო მოსამართლისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრისაგან, უკანასკნელის თავმჯდომარეობით.

ქ. ტფილისისათვის სარეკვიზიციოდ დანიშნული ქონების სასყიდლის განსაზღვრისათვის მოეწყობა კომისია აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის თავმჯდომარეობით ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ამიერკავკასიის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენელთა შედგენილობით.

**შენიშვნა** 1. შემფასებელ კომისიას შეუძლიან მოიწვიოს რეკვიზიციაქმნილი ქონების შესაფასებლად მცოდნე პირები.

**შენიშვნა** 2. მესაკუთრეს სასყიდელი ქონების ჩამორთმევამდე უნდა მიეცეს იმ უწყების სათანადო ორგანოს მიერ, რომლისათვისაც რეკვიზიცია მოხდა. რეკვიზიციაქმნილი ქონების პატრონის თანხმობით ფულადი სასყიდელი შეიძლება შეიცვალოს ნატურალურ სასყიდლად.

**შენიშვნა** 3. კომისიის სხდომაზე დაბარებულ უნდა იქნეს ქონების პატრონი, რომელსაც შეუძლიან მისცეს განმარტება და წარადგინოს დოკუმენტები. მესაკუთრის გამოცხადება, უკეთუ მას უწყება ჩაბარდა, სავალდებულო არ არის.

5. სარეკვიზიციად დანიშნული ქონების შეფასების შესახებ კომისია შეადგენს დაწვრილებითი აქტს, რასაც ხელს მოაწერს ყველა დამსწრე.

6. კონფისკაციად ჩაითვლება სახელმწიფოს სასარგებლოდ მთელი ქონების ან მისი ნაწილის უსასყიდლო და იძულებითი ჩამორთმევა; იგი იხმარება,

водятся в исполнение соответствующими исполнительными комитетами.

4. Размер вознаграждения за реквизируемое согласно ст. 3 имущество определяется комиссией в составе финансового инспектора, народного судьи и члена исполнительного комитета, под председательством последнего.

Комиссия для определения размера вознаграждения за реквизируемое по г. Тифлису имущество образуется под председательством Члена Президиума Исполкома в составе представителей от Народного Комиссариата Финансов, Народного Комиссариата Внутренних Дел, Высшего Совета Народного Хозяйства, Управления Уполномоченного Закавказского Народного Комиссариата Внешней и Внутренней торговли.

*Примечание* 1. Оценочная комиссия может приглашать для оценки реквизированного имущества сведущих лиц.

*Примечание* 2. Оплата производится до из'ятия имущества из владения собственника подлежащим органом того ведомства, для нужд которого произведена реквизиция. С согласия владельца реквизируемого имущества допускается замена денежной оплаты натуральной.

*Примечание* 3. В заседание комиссии вызывается собственник имущества, который может давать обяснения и представить документы. Явка собственника, получившего извещение, необязательна.

5. Об оценке подлежащего реквизиции имущества комиссия составляет подробный акт за подписью всех присутствующих.

6. Конфискацией считается безвозмездное принудительное отчуждение в пользу государства всего или части имущества, применяемое как мера социальной защиты по приговорам подлежащих судов и чрезвычайных комиссий по делам, по коим последним предоставлено право вынесения приговоров, а равно по рас-

როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, სათანადო სასამართლოს და საგანგებო კომისიის განაჩენით; ამასთან, საგანგებო კომისიას შეუძლიან ამ ღონისძიების ხმარება მხოლოდ ისეთ საქმეზე, რომელზედაც განაჩენის გამოტანის უფლება აქვს; იგი იხმარება აგრეთვე სამხედრო, საბაჟო, სააქციზო და საფოსტო უწყების განკარგულებითაც, საამისოდ არსებული განსაკუთრებული კანონის თანახმად.

**შენიშვნა 1.** იმ შემთხვევაში, როდესაც კონფისკაცია შეფარდებულია როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, ხელისუფლების ორგანო, რომელიც კონფისკაციას მოახდენს, ვალდებულია დაუტოვოს კონფისკაციაქმნილი ქონების პატრონს და მისი ოჯახის წევრებს საოჯახო საგნები, შინამრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების იარაღი, უკეთუ იგი მათი არსებობის სახსარია და გამოყენებული არ არის შრომის ექსპლოატაციისათვის; უნდა დაუტოვოს აგრეთვე სურსათ-სანოვაგე და ფული, რაც საჭიროა პირადად მსჯავრდადებულისა და მისი ოჯახის წევრთა სარჩენად და რაც ერთად აღებული, საერთო ღირებულებით არ აღემატება იმ ადგილის მუშის ექვსი თვის საშუალო სამუშაო ხელფასს.

**შენიშვნა 2.** მსჯავრდადებულის პროფესიონალური მუშაობისათვის საჭირო ინვენტარის კონფისკაცია შეიძლება მხოლოდ მაშინ, უკეთუ სასამართლო თავის დადგენილებით აუკრძალავს მსჯავრდადებულს მის პროფესიას.

7. საკონცესიო საწარმოს ქონების რეკვიზიცია ან კონფისკაცია შეიძლება მარტოოდენ იმ შემთხვევაში და იმ წესით რაც გათვალისწინებულია საკონცესიო ხელშეკრულებით.

8. თვითეული რეკვიზიციისა და კონფისკაციისათვის ქონების ჩამორთმევის დროს შედგენილ იქნება ცალკე აქტი, რაშიაც აღინიშნება:

ა) რეკვიზიციისა და კონფისკაციის კანონიერი საფუძველი;

ბ) იმ პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და უფლებამოსილობა, რომელიც მოახდენს რეკვიზიციას ან კონფისკაციას;

пoряжению военного, таможенного, акцизного и почтового ведомств согласно особых на этот предмет узаконений.

*Примечание* 1. В случае конфискации, применяемой в виде меры социальной защиты, органы власти, производящие конфискацию, обязаны оставить владельцу конфискуемого имущества и членам его семьи предметы домашнего обихода, орудий кустарного и сельско-хозяйственного производства, если они служат средством к существованию и не являются предметами эксплоатации труда, а также продукты питания и денежные суммы, необходимые для личного потребления осужденного и его семьи, по оценке в общей сложности не превышающие среднего 6 месячного заработка рабочего данной местности.

*Примечание* 2. Инвентарь, необходимый для профессиональной работы осужденного, может быть конфискован, если суд постановит о лишении осужденного права заниматься соответствующей профессией.

7. Имущество концессионных предприятий может подлежать реквизиции или конфискации исключительно в случаях и в порядке, предусмотренном концессионным договором.

8. При каждой реквизиции или конфискации составляется в момент отобрания имущества особый акт, содержащий:

а) указание законных оснований, по которым они производятся,

б) должность, имя и фамилию лица, производящего реквизицию или конфискацию, и его полномочие,

в) имя, фамилию, местожительство владельца и место нахождения имущества,

г) кому имущество оставлено на хранение,

д) подробную и точную опись имущества с указанием в подлежащих случаях веса, меры и рода упаковки.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ქონების პატრონის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და ის ადგილი, სადაც ქონებაა;

დ) ვის გადაეცა ქონება შესანახად;

ე) ქონების დაწვრილებითი და სწორი აღწერილობა, ამასთანავე სათანადო შემთხვევაში აღინიშნება წონა, ზომა, აგრეთვე როგორ არის ეს ქონება ჩაწყობილ-ჩალაგებული.

აქტს ხელს აწერენ თანამდებობის პირი, ქონების პატრონი ან შემნახველი და ორი წერა-კითხვის მცოდნე გარეშე მოწმე; აქტის ასლი მიეცემა პატრონს არა უგვიანეს სამი დღისა.

9. უკეთუ აღმოჩნდება რეკვიზიციისაგან გადამალული ქონება ან ისეთი ქონება, რომელსაც კონფისკაცია უნდა ექნას, მილიცია წინასწარ შეჰკრავს მას.

10. იმ ქონების წინასწარი შეკვრის დროს, რომელსაც რეკვიზიცია ან კონფისკაცია უნდა ექნას, მე-8 მუხლში აღნიშნულ წესისამებრ, შესდგება ქონების შეკვრის აქტი და დაუყოვნებლივ გაეგზავნება სათანადო სასამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს სამი კვირისა გამოუცხადოს შეკრული ქონების პატრონს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნული ქონების შეკვრისა ან განთავისუფლების შესახებ.

11. ქვემოჩამოთვლილი საგნები, უკეთუ მათ შესანახად სათანადო ნებართვა არ იყო მიღებული, აუცილებლად და უსაყიდლოდ უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს; ხოლო, უკეთუ ეს საგნები სადმე აღმოჩნდება, კონფისკაცია უნდა ექნას და შემნახველი კი პასუხისგებაში მიიცეს სისხლის სამართლის წესით; ეს საგნებია: ა) იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერება, სამხედრო საჭურველი და საფრენი მანქანა, ბ) ტელეგრაფისა და რადიო-ტელეგრაფის ქონება, გ) გაბათილებული ფასიანი ქაღალდები.

12. თანამდებობის პირი, რომელიც დაარღვევს ზემოაღნიშნულ წესებს, პასუხს აგებს სასამართლოს წესით. ამის დამოუკიდებლად, უკანონო რეკვიზიციით ან კონფისკაციით ქონებრივად დაზარალებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება ან ზარალის ანაზღაურება, რისთვისაც იგი სარჩელს აღძრავს სათანადო სასამართლოში სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოს წინააღმდეგ,

Акт скрепляется подписями должностного лица владельца или хранителя и двух посторонних грамотных свидетелей; копия акта выдается владельцу не позднее 3 дней.

9. В случае обнаружения имущества скрытого от реквизиции или подлежащего конфискации, милиция налагает на таковое имущество предварительный арест.

10. При предварительном аресте имущества, подлежащего реквизиции или конфискации, составляется об аресте акт порядком, указанным в ст. 8, причем этот акт подлежит немедленному направлению в подлежащее судебное или административное учреждение, которое не позднее 3-х недельного срока обязано об‘явить владельцу арестованного имущества свое решение об аресте или освобождении арестованного имущества.

11. Нижеследующие предметы, при отсутствии надлежащего разрешения на их хранение, подлежат обязательной безвозмездной сдаче государству и в случае их обнаружения конфискуются с привлечением их хранителей к уголовной ответственности: а) оружие, взрывчатые вещества, воинское снаряжение и летательные аппараты, б) телеграфное и радиотелеграфное имущество, в) аннулированные ценные бумаги.

12. Должностные лица, виновные в нарушении указанных выше правил, подлежат ответственности в судебном порядке. Независимо от сего, потерпевший имущественный ущерб от незаконной реквизиции или конфискации имеет право требовать возврата ему неправильно отчужденного имущества или возмещения убытков посредством иска, пред‘являемого в подлежащем суде к органу государственной власти, представители которого незаконно произвели конфискацию или реквизицию.

13. Порядок использования конфискуемых имуществ определяется постановлением Совета Народных Комиссаров Союза ССР от 22 сентября

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის წარმომადგენელმაც უკანონოდ მოახდინა რეკვიზიცია ან კონფისკაცია.

13. კონფისკაციაქმნილი ქონების გამოყენების წესი განისაზღვრება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის სექტემბრის 22-ს დადგენილებით („იზვესტია“-ს 242 №-რი 1925 წლისა).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანსი **ბ. თოდრია.**

1926 წ. აპრილის 1.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-82 №-ში 1926 წ. აპრილის 13.

1925 года („Известия“ № 242 за 1925 г.).

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. апреля 1.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунисг“ № 82 от 13 апреля 1926 г.

---

## 50. დადგენილება № 27

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომ. მაგიერ **ი. ხარაბაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **შ. მათიკაშვილი.**

1926 წ. აპრილის 5.
ტფილისი—სასახლე.

## 50. Постановление № 27

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об утверждении Подожения о Комиссии помощи беспризорным детям.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Утвердить нижеследующее „Положение о комиссии помощи беспризорным детям при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете“.

За Председателя Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *И. Харабадзе.*

За Секретаря Всегрузинского Центрального Исполннительного Комитета Советов *Ш. Матикашвили.*

1926 г. апреля 5.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დებულება

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტთან არსებულ უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიისა.**

1. ვ. ი. ლენინის ხსოვნის საუკუნეთაგან-საუკუნეში აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისია (ბავშვთა კომისია).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კომისიის მიზანს შეადგენს ბავშვთა უმწეობასა და დანაშაულებრიობასთან ბრძოლა საქართველოს ს. ს. რ. ფარგლებში.

3. ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობიან უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიები, რომლებიც იმუშავებენ სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების უშუალო ზედამხედველობით და თავიანთ მოქმედებაში იხელმძღვანელებენ ამა დებულებას და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის დირექტივებს და დადგენილებებს.

4. ზემოაღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სრულიად საქართველოს ცაკთან არსებული ბავშვთა კომისია:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა დაინტერესებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოქმედებას ბავშვთა უმწეობასა და დანაშაულებრიობასთან ბრძოლის საქმეში;

ბ) ხელს შეუწყობს განათლების სახალხო კომისარიატს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და აგრეთვე სხვა დაინტერესებულ უწყებას—ბავშვთა უმწეობასთან მებრძოლ დაწესებულებათა მოწყობის საქმეში (სახელოსნოებისა, სასადილოებისა, თავშესაფართა, ბაგათა, კერათა, სასოფლო-სამეურნეო კომუნათა და სხვ.);

გ) ეძიებს სახსარს ბავშვთა უმწეობასა და დანაშაულებრიობასთან მებრძოლ ორგანიზაციების მოსაწყობად და აგრეთვე სათანადო დაწესებულებათა შესანახად;

# ПОЛОЖЕНИЕ

**О комиссии помощи беспризорным детям при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете.**

1. Для увековечения памяти В. И. Ленина при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете организуется комиссия помощи беспризорным детям (Деткомиссия).

2. Целью Деткомиссии при Всегрузцик-е является борьба с детской беспризорностью и преступностью в пределах ССР Грузии.

3. При ЦИК-ах автономных республик и областей организуются комиссии помощи беспризорным детям, которые работают под непосредственным наблюдением соответствующих Центральных Исполнительных Комитетов и в своей работе руководствуются настоящим положением и директивами и постановлением Деткомиссии при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете.

4. Для осуществления вышеозначенной цели Деткомиссия при Всегрузцик-е:

а) руководит деятельностью по борьбе с детской беспризорностью и преступностью всех заинтересованных государственных учреждений и общественных организаций;

б) содействует Народному Комиссариату Просвещения и Народному Комиссариату Здравоохранения, а равно иным заинтересованным ведомствам, в деле организации учреждений по борьбе с детской беспризорностью (мастерских, столовых, ночлежных приютов, яслей, очагов, сельско - хозяйственных коммун и т. п.);

в) изыскивает средства на организацию борьбы с детской беспризорностью и преступностью, а равно на содержание соответствующих учреждений;

г) принимает меры приискания беспризорным постоянного или временного заработка, оказания содействия выезду на родину или к месту работы, определения беспризор-

დ) მიიღებს ღონისძიებას უმწეოთათვის მუდმივი და დროებითი სამუშაოს აღმოსაჩენად; იზრუნებს უმწეოთა გაგზავნას სამშობლოში ან სამუშაო ადგილას; მიაღებინებს მათ საწარმოში და სახელოსნოში შეგირდებად, გლეხებისა და მუშების ოჯახებში, ხოლო ავადმყოფებს—სამკურნალო დაწესებულებებში და სხვ.;

ე) გაუწევს უმწეოთ სათანადო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მეშვეობით ყოველგვარ დახმარებას, სხვათა შორის იურიდიულსა და სამკურნალოს, და აგრეთვე დაეხმარება ძუძუმწოვარბავშვიან უსახლკარო დედებს;

ვ) მიიღებს ღონისძიებას, რათა დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულებანი და საზოგადოებრივი, პროფესიონალური, პარტიული ორგანიზაციები და საერთოდ საბჭოთა საზოგადოებრიობა ჩააბას უმწეო ბავშვთა დახმარების საქმეში;

ზ) მოაწყობს ადგილობრივ „ბავშვთა მეგობრების“ საზოგადოებათ და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ მოქმედებას.

**შენიშვნა**. „ბავშვთა მეგობრების“ საზოგადოება მოეწყობა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია კანონით ისეთ საზოგადოებათა და კავშირთა მოსაწყობად, რომელნიც მოგების შოვნას არ მისდევენ; საამისოდ ბავშვთა კომისია შეიმუშავებს ტიპიურ წესდებას, რომელსაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს.

5. სრულიად საქართველოს ცაკთან არსებულ ბავშვთა კომისიას თავმჯდომარეობს სს ცაკის თავმჯდომარე, კომისიაში შედიან განათლებისა, ჯანმრთელობისა, სოციალურ უზრუნველყოფისა, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, ფინანსთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის, სსსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, საქართველოს სსრ ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა, ქალთა განყოფილებისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელნი. კომისიის შედგენილობას დაამტკიცებს სს ცაკის პრეზიდიუმი; გარდა ამისა, კომისიაში, სს ცაკის პრეზიდიუმის დასტურით, შეიძლება დანიშნულ იქნეს სხვა და სხვა პირი პერსონალურად.

ных в предприятия и мастерские в качестве учеников, в крестьянские и рабочие семьи, больных—в лечебные заведения и т. п.;

д) оказывает, через соответствующие учреждения и организации всяческую помощь беспризорным, в том числе юридическую и медицинскую, а равно помощь бездомным матерям с грудными детьми;

е) принимает меры привлечения к делу помощи беспризорным заинтересованных государственных учреждений, общественных, профессиональных и партийных организаций и вообще Советской общественности;

ж) организует на местах общества „Друзья детей“ и руководит деятельностью этих обществ.

*Примечание*. Об-ва „Друзья детей“ организуются в порядке, предусмотренном законом для обществ и союзов не преследующих извлечения выгод, по типовому уставу, разработанному Деткомиссией и утвержденному президиумом Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета.

5. Деткомиссия при Всегрузцик-е состоит под председательством председателя Всегрузцик-а из представителей Народных Комиссаров Просвещения, Здравоохранения, Социального обеспечения, Внутренних дел, Юстиции, Финансов и Земледелия, Тифлисского Исполнительного Комитета, Совета Профессиональных Союзов ССРГ, ЛКСМ ССР Грузии, женотдела и грузинского общества Красного Креста. Состав комиссии утверждается президиумом Всегрузцик-а. Кроме того в состав комиссии назначаются персонально лица по утверждению президиума Всегрузцик-а.

6. Для непосредственого заведывания текущей работой Деткомиссии из состава ее выделяется президиум в числе пяти лиц.

7. Комиссия в деятельности своей руководствуется директивами президиума Всегрузцик-а и является подотчетной последнему. План работ Деткомиссии утверждается президиу-

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ბავშვთა კომისიის მიმდინარე მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობისათვის კომისიის შედგენილობიდან გამოიყოფა ხუთი პირისაგან შემდგარი პრეზიდიუმი.

7. თავის მოქმედებაში კომისია იხელმძღვანელებს სს ცაკის პრეზიდიუმის დირექტივებს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე; ბავშვთა კომისიის მუშაობის გეგმას დაამტკიცებს სს ცაკის პრეზიდიუმი, რომელსაც წარედგინება კომისიის მოქმედების კვარტალური ანგარიშები.

8. ბავშთა ქომისიის პლენუმის სხდომები მოხდება ორ თვეში ერთხელ მაინც, ხოლო პრეზიდიუმის—თვეში ორჯერ მაინც.

9. ბავშვთა კომისიის მიმდინარე საქმეებს განაგებს კომისიის პლენუმის მიერ არჩეული პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც საამისოდ გამოიყენებს სს ცაკის საქმეთა მმართველობის ტეხნიკურ აპარატს.

10. ბავშვთა კომისიის დადგენილება' უკეთუ იგი შეთანხმებულია ყველა დაინტერესებულ უწყებასთან, სავალდებულოა და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხორციელებული სათანადო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს მეშვეობით.

ის დადგენილება, რომელზედაც შეთანხმება დაინტერესებულ უწყებასა და დაწესებულებასთან ვერ იქნა მიღწეული, —დასამტკიცებლად სს ცაკის პრეზიდიუმში გადაიტანება.

11. ამა დადგენილების ფარგლებში ბავშვთა კომისიას აქვს იურიდიულ პირის უფლებანი. კომისიას იქვს აგრეთვე თავისი ბეჭედი.

12. კომისიის სახსარს შეადგენს:

ა) ნებაყოფლობითი შეწირულება, როგორც ერთდროული, ისე პერიოდული;

ბ) წარმოდგენებისა, საღამოებისა, კონცერტებისა, კინო-სეანსებისა, სეირნობისა და სხვ. მოწყობით შემოსული თანხები;

გ) „ბავშვთა მეგობრები“ს ადგილობრივ საზოგადოებათა პროცენტული ანარიცხები;

დ) სახელმწიფოს სახსარიდან გაცემული სუბსიდია;

мом Всегрузцик'а, которому представляются квартальные отчеты о деятельности.

8. Заседания пленума Деткомиссии происходят не реже одного в два месяца, а президиума не реже двух раз в месяц.

9. Текущими делами Деткомиссии заведывает ответственный секретарь, избираемый пленумом комиссии, пользуясь техническим аппаратом управления делами Всегрузцик-а.

10. Постановления Деткомиссии, если они согласованы со всеми заинтересованными ведомствами, являются обязательными и немедленно проводятся в жизнь через соответствующие государственные и общественные органы.

Постановления, по которым не достигнуто соглашения с заинтересованными ведомствами и учреждениями, переносятся на окончательное разрешение президиума Всегрузцик-а.

11. Деткомиссия пользуется в пределах сего положения правами юридического лица и имеет свою печать.

12. Средства комиссии состоят из:

а) добровольных пожертвований—единовременных и периодических;

б) доходов от организации спектаклей, вечеров, концертов, киносеансов, гуляний, базаров и т. п.;

в) процентных отчислений местных обществ „Друзья Детей";

г) субсидий из государственных средств;

д) других источников, предоставленных Деткомиссии особыми законоположениями.

За председателя Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *И. Харабадзе.*

За секретаря Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ш. Матикашвили.*

1926 г. апреля 5.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 88 от 20 апреля 1926 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) სხვა წყაროები, რაც ბავშვთა კომისიას მეინიჭება განსაკუთრებული კანონდებულებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდ. მაგიერ **ი. ხარაბაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **შ. მათიკაშვილი.**

1926 წ. აპრილის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულა გაზეთ „კომუნისტის" მე-88 №-ში 1926 წ. აპრილის 20.

## 51. დადგენილება № 28

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**შრომის კანონდებულებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ.**

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლ. აგვისტოს 13-ს თარიღისა და 43 №-რის დადგენილების („შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემის წესის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშამოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილებების აღუსრულებლობისათვის") 1 და 2 მუხ. განსავითარებლად (გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს 962 №-ში 1925 წლ. აგვისტოს 28-ს), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ შემდეგ წესს ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ:

1. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წლ. აგვისტოს 29-ის თარიღისა და 56 №-რის დადგენილებასთან (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია

## 51. Постановление № 28

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров Соц. Советской Республики Грузии**

**„О порядке наложения административных взысканий за нарушения законоположений по труду".**

В развитие ст. ст. 1 и 2 постановления Совета Народных Комиссаров ЗСФСР № 43 от 13 августа 1925 г. „О порядке привлечения инспекторами труда нанимателей к ответственности за несоблюдение постановлений, направленных к охране труда рабочих и служащих государственных, кооперативных, общественных и частных предприятий, учреждений и хозяйств" (опубл. в „Заре Востока" от 28 августа 1925 года, № 962), Центральный Исполнительный Комитет и Совет Народных Комиссаров ССР Грузии устанавливают нижеследующий порядок наложения административных взысканий:

1. За нарушение узаконений и распоряжений по труду, указанных в перечне, приложенном к постановлению НКТ ЗСФСР № 56 от 29 августа 1925 г. (опубл. в „Заре Востока" от 8 сентября 1925 г. № 971), виновные подвергаются следующим взысканиям в административном порядке:

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვოსტოკა“-ს 971 №-ში 1925 წლ. სექტემბრის 8-ს) დართულ ნუსხაში აღნიშნული შრომის კანონებისა და განკარგულებების დარღვევისათვის, დამნაშავეს დაედება შემდეგი ადმინისტრატიული გადასახდელი:

ა) თავისუფლების აღკვეთა 2 თვემდე,

ბ) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლად 2 თვემდე და

გ) ფულადი ჯარიმა 100 მანეთამდე.

2. უკეთუ შრომის სფეროში დარღვეულია ისეთი კანონი და განკარგულება, რომლის დარღვევისათვისაც დამქირავებელი შეიძლება პასუხისგებაში იქნ..ს მიცემული ადმინისტრატიული წესით, შრომის ინსპექტორი შეადგენს ოქმს, რასაც ხელს მოაწერენ ოქმის შემდგენელი (ინსპექტორი), დამრღვევი და მოწმე.

**შენიშვნა.** უკეთუ დამრღვევი უარს იტყვის ოქმზე ხელის მოწერაზე, ეს უარი შეტანილ უნდა იქნეს ოქმში, უარის მოტივის აღნიშვნით. დამრღვევის უარი ხელის მოწერაზე ვერ შეაჩერებს ოქმის წარმართვას ამა დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ.

3. წინა მუხლში აღნიშნული ოქმი დაუყოვნებლივ წარედგინება სათანადო საქალაქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრატიულ განყოფილებას, რომელიც დაადგენს გადასახდელის დადებას იმ წესით, რაც აღნიშნულია „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ“ გამოცემულ დებულებაში (სრ. საქ. ცაკ-ის 1923 წლ. მაისის 4-ს დეკრეტი).

4. იმ შემთხვევაში, უკეთუ ოქმიდან აშკარა იქნება, რომ დამნაშავეს ბრალად ედება ისეთი ქმედობა, რომელიც დევნილ უნდა იქნეს სასამართლოს წესით, საქმე გადაეცემა სათანადო სასამართლოს--ქვემდებარეობისამებრ.

5. უკეთუ ის პირი, ვისაც ადმინისტრატიული გადასახდელი დაედო, უკმაყოფილოა, შეუძლიან, 7 დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების ასლის ჩაბარებისა, სთხოვოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს აღნიშნული დადგენილების გადასინჯვა, ან ეს დადგენილება განასაჩივროს საინსტანციო წესით შინაგან საქმეთა სახ. კომისა-

а) лишению свободы сроком до 2-х месяцев;

б) назначению на принудительные работы без лишения свободы сроком до 2-х месяцев и

в) денежному штрафу до 100 руб.

2. При обнаружении нарушений узаконений и распоряжений по труду, за нарушение коих наниматели могут привлекаться к ответственности в административном порядке, инспекторами труда составляется протокол, который подписывается составителем (инспектором), нарушителем и свидетелем.

*Примечание.* В случае отказа нарушителя подписать протокол, об этом отказе заносится в протокол с указанием мотива отказа; отказ нарушителя в подписании протокола не останавливает направления протокола, указанного в ст. 3 настоящего постановления.

3. Протокол этот немедленно представляется в административный отдел подлежащего городского или уездного исполкома, где выносится постановление о наложении взыскания в порядке, установленном положением „О порядке издания обязательных постановлений и о наложении за их нарушение взысканий в административном порядке“ (декрет ВЦИК'а от 4 мая 1923 г.).

4. В тех случаях, когда из протокола усматривается, что данное лицо обвиняется в деянии, которое преследуется в судебном порядке, дело передается в соотвествующий суд по подсудности.

5. В случае недовольства, подвергнувшийся взысканию в административном порядке, в 7-ми дневный срок со дня вручения ему копии постановления, может просить подлежащий исполком о пересмотре вынесенного постановления, или обжаловать это постановление в порядке инстанций в Народный Комиссариат внутренних дел. Подача жалобы не приостанавливает исполнения.

რიატში. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ი. ხარაბაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **შ. მათიკაშვილი.**

1926 წ. აპრილის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-87№-ში 1926 წ. აპრილის 18.

6. Настоящее постановление вступает в силу со дня его опубликования.

За председателя Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *И. Харабадзе.*

За председателя Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии *С. Джугели.*

За Секретаря Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ш. Матикашвили.*

1926 г. апреля 5
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист“ № 87 от 18 апреля 1926 г.

---

## 52. დადგენილება

**საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**1925-26 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 32 მუხ. საფუძველზე პრემიალური ფონდის გამოყენების წესის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება 1925-26 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 32 მუხლის საფუძველზე პრემიალური ფონდის გამოყენების წესის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოად. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. აპრილის 5.
ტფილისი — სასახლე.

## 52. Постановление

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии**

**Об утверждении положения о порядке использования премиального фонда согласно 32 ст положения об едином сельско-хозяйственном налоге на 1925-26 г.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

Утвердить и ввести в действие прилагаемое к настоящему постановлению Положение о порядке использования премиального фонда согласно 32 ст. положения об едином сельско - хозяйственном налоге на 1925-26 год.

Зам. Председателя Совета Народных Комиссаров ССР Грузии *С. Джугели.*

Управляющий Делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. апреля 5.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**1925-26 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 32 მუხლის საფუძველზე პრემიალური ფონდის გამოყენების წესის შესახებ.**

1. პრემია მიეცემა ისეთ სამეურნეო ერთეულს, რომელიც სოფლის მეურნეობაში ამა თუ იმ გაუმჯობესებას განახორციელებს:

ა) თემსა და სოფელს;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კომუნას და არტელს, სამანქანო ამხანაგობას და სხვა საგლეხო შენაერთს, რომელსაც ესა თუ ის გაუმჯობესება შეაქვს სოფლის მეურნეობაში, მაგ., კოლექტიური ხვნა-თესვა, ბალახის თესვა, მანქანების კოლექტიური გამოყენება და სხვა;

გ) რაციონალურად დაყენებულ სამართოხელო საგლეხო მეურნეობას.

2. პრემიის მიცემის ობიექტად შეიძლება იყოს:

ა) წესიერად მოწყობილი ცალკე საგლეხო მეურნეობა მთლიანად;

ბ) სოფლის მეურნეობის ცალკე დარგი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ჟამად ან განვითარების პერსპექტივები მომავალში (დარგი, რომელიც ხელის შეწყობას საჭიროებს);

გ) მცირე სარწყავი ქსელის რაციონალური ორგანიზაცია;

დ) მიწათმოწყობის რაციონალურად განხორციელება (ხარვეზობის და სხვ. ამისთ. რამის მოსპობა).

3. პრემია არ უნდა იყოს 20 მანეთზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 200 მანეთს. ამ ფარგლებში შესაძლებელია პრემია გაიცეს როგორც ფულად, ისე ნატურად.

4. 1925-26 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 32 მუხლის თანახმად პრემიალური ფონდი შესდგება მთლად შემოსული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის $1^1|_2{}^0/_0$ ანარიცხისაგან. მაზრაში შემოსული პრემიალურ ფონდის თანხა ამავე მაზრაზე იხარჯება, თანახმად ამა დებულებისა და აგრეთვე თანახმად იმ ინსტრუქციებისა და განმარტებისა, რაც შემდეგში გამოიცემა.

5. პრემიის სუბიექტებს და ობიექტებს და აგრეთვე პრემიის რაოდენობას მაზრაში განსაზღვრავს განსაკუთრებული მუდმივი კომისია, რომელშიაც შევლენ:

# ПОЛОЖЕНИЕ

**О порядке использования премиального фонда согласно 32 ст. Положения об едином сельско-хозяйственном налоге на 1925-26 год.**

1. Премированию подлежат: хозяйственные единицы, проводящие с.-х. улучшения:

а) теми и села;

б) сельско-хоз. коммуны и артели, машинные товарищества и другие крестьянские об'единения, производящие те или иные с.-хоз. улучшения, как-то, общественные запашки, посев трав, совместное использование машин и проч;

в) рационально поставленные единоличные крестьянские хозяйства.

2. Об'ектами премирования являются:

а) правильно организованные единичные крестьянские хозяйства в целом;

б) отдельные отрасли с.-хозяйства, имеющие существенное значение в настоящем или перспективы развития в будущем (отрасли, подлежащие поощрению);

в) рациональная организация мелкой оросительной сети;

г) рациональное проведение землеустройства (уничтожение черезполосицы и проч).

3. Премии не должны быть меньше 20 рублей на хозяйство и не превышать 200 рублей. В указанных пределах премии могут быть, как денежные, так и натуральные.

4. Согласно § 32 Положения о сельско-хозяйств. наоге на 1925-26 г. сумма премиального фонда составляется путем отчисления $1^1/_{20}|^0$ от всего поступления с. хоз. налога. Вся поступившая сумма премиального фонда по уездам расходуется в данном уезде, согласно настоящего положения, а также согласно инструкциям и раз'яснениям, каковые могут быть изданы в дальнейшем.

5. Установление суб'екгов и об'ектов премирования и размеров премии производится в уездах особой постоянной комисией в составе:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სამაზრო აგრონომი ან მისი მოადგილე—თავმჯდომარედ,

ბ) სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი და

გ) ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელი.

ამ მუდმივ წევრების გარდა, კომისიაში შედიან სათათბირო ხმის უფლებით:

ა) იმ თემის ან სოფლის გლეხთა მიერ არჩეული წარმომადგენელი, სადაც მეურნეობას პრემია უნდა მიეცეს,

ბ) ადგილობრივი რაიონული აგრონომი ან ინსტრუქტორი.

6. სამაზრო კომისიის დადგენილება პრემიის სუბიექტებისა და ობიექტების განსაზღვრისა, შეფასებისა და სხვ. შესახებ შეიძლება ერთი კვირის ვადაზე განსაჩივრებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში.

7. საჩივარი შეიძლება აღძრულ იქნეს ადგილობრივი სამაზრო, სათემო და სოფლის ხელისუფლების მიერ; აგრეთვე ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და იმ თემისა თუ სოფლის გლეხთა ჯგუფის მიერ სადაც პრემიის მიცემა სწარმოებს; ეს გლეხთა ჯგუფი 25 კაცისაგან მაინც უნდა შესდგებოდეს.

8. უკეთუ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა სამი კვირის განმავლობაში არ გააუქმა ან არ შესცვალა კომისიის დადგენილება, იგი ძალაში შევა. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

9. პრემიალური ფონდი ინახება სათანადო სამაზრო საფინანსო განყოფილების სალაროში და დანიშნულებისამებრ მისი გაცემა მოხდება სახელდებულ მოწმობის წარდგენით, რომელიც კომისიის მიერ გაიცემა თავმჯდომარისა და ორი წევრის ხელისმოწერით.

**შენიშვნა.** პრემიის მისაღები მოწმობის ბლანკს შეიმუშავებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად და დაეგზავნება სამაზრო კომისიებს.

10. პრემიალური ფონდის გამოყენების ანგარიშგებას სამაზრო კომისია წარადგენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ამ უკანასკნელის მიერ შემუშავებული ინსტრუქციების თანახმად.

а) уездного агронома или его заместителя, в качестве председателя;

б) представителя Уисполкома;

в) представителя местной с.-хоз. коперации.

Кроме этих постоянных членов в комиссию входят с правом совещательного голоса:

а) выборный от крестьян теми или села, в которых хозяйство подлежит премированию;

б) местный районный агроном или инструктор.

6. Постановление уездной комиссии по выявлению суб'ектов и об'ектов премирования, их оценки и проч. могут быть в недельный срок обжалованы в Народный Комиссариат Земледелия.

7. Обжалование может быть возбуждено: местной уездной, темской или сельской властью, местными общественными организациями и группой крестьян теми или села, где производится премирование, в количестве не менее 25 человек.

8. В случае, если от Народного Комиссариата Земледелия в 3-х недельный срок не последовало отмены постановления или изменения его, то постановление комиссии вступает в силу.

Постановление Комиссариата Земледелия считается обязательным и дальнейшему обжалованию не подлежит.

9. Премиальный фонд хранится в кассе соответствующих Уфо и выдается по назначению по пред'явлении именных удостоверений, выданных комиссией за подписью председателя и 2-х членов комиссии.

*Примечание*. Бланки для удостоверения на получение премии заготовляются Народным Комиссариатом Земледелия, совместно с Наркомфином, и рассылаются уездным комиссиям.

10. Отчетность по использованию премиального фонда уездные комиссии представляют в Н. К. Земледелия по инструкциям, выработанным Н. К. Земледелия.

ეროვნული ბიბლიოთეკა



11. პრემიალური ფონდის გამოყენება შეიძლება თანდათანობით, რამდენადაც იგი შევა სამაზრო საფინანსო განყოფილებაში; ამასთანავე 1926 წ. ოქტომბრისათვის პრემიალური ფონდი მთლად განაწილებულ უნდა იქნეს მაზრაში. უკეთუ პრემიალური ფონდი მაზრაში არ იქნა გამოყენებული მთლად ან ნაწილობრივ, ნარჩენი გადაირიცხება იმავე მაზრის საპრემიო ფონდში შემდეგი წლისათვის.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. აპრილის 5.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-78 №-ში 1926 წ. აპრილის 8.

11. Премиальный фонд может быть использован постепенно по мере поступления фонда в Уфо, при чем к октябрю месяцу 1926 года весь премиальный фонд по уездам должен быть распределен. В случае неиспользования всего или части премиального фонда, остаток перечисляется в фонд премирования следующего года по данному уезду.

Зам. Председателя Совета Народных Комиссаров ССР Грузии *С. Джугели.*

Управлющий Делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. апреля 5.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 78 от 8 апреля 1926 г.

---

## 53. დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**კლინიკებში სტაჟ-დამთავრებულ შტატის სამეცნიერო მომუშავეთა (ორდინატორთა) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში სტაჟ-დამთავრებულ შტატის ორდინატორების სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

რადგანაც სამეცნიერო მომუშავის (ორდინატორის) მუშაობა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში არსებითად საექიმო განათლების განგრძობაა მეცნიერული კვალიფიკაციის გასაძლიერებლად და აგრეთვე, რადგანაც ჯანმრთელობის, ადგილობრივ ორგანოებს უაღრესად სჭირდებათ კვალიფიციური სპეციალისტები, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ამასთანავე დართული დებულება იმ პირთა

## 53. Постановление

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**О введении в действие Положения об обязательной государственной службе для лиц, окончивших стаж штатных научных работников (ординаторов) клиник и штатных ординаторов центрально-показательных лечебно-санитарных учреждений Народного Комиссариата Здравоохранения.**

В виду того, что работа научного работника-ординатора лечебно-санитарных учреждений Наркомздрава является по существу продолжением медицинского образования для повышения научной квалификации и в виду крайней нужды органов здравоохранения на местах в квалифицированных специалистах, Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

ввести в действие нижеследующее Положение об обязательной государственной службе для штатных научных работников (ординаторов) клиник и штатных ординаторов центрально-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის შესახებ, რომელთაც დაუმთავრებიათ სტაჟი კლინიკის შტატის სამეცნიერო მომუშავისა (ორდინატორის) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელი სასანიტარო დაწესებულების სტაჟ დამთავრებული შტატის ორდინატორისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. აპრილის 13.

ტფილისი—სასახლე.

показательных лечебно - санитарных учреждений Наркомздрава.

Зам. председателя Совета Народных Комис. ССР Грузии *С. Джугели.*

Управляющий делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. апреля 13.

Тифлис—Дворец.

---

## დებულება

**იმ პირთა სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის შესახებ, რომელთაც დაუმთავრებიათ სტაჟი კლინიკის სამეცნიერო მომუშავისა (ორდინატორისა) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ-საჩვენებელი სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულების შტატის ორდინატორისა.**

1. კლინიკის შტატის ყველა სამეცნიერო მომუშავე (ორდინატორი) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელი სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულების შტატის ორდინატორი, კლინიკისა და ცენტრალურ საჩვენებელ და სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში მუშაობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებულია იმსახუროს სახელმწიფო სამსახურში, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების განკარგულებით იმდენივე ხანი, რაც მან იმუშავა კლინიკაში ან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში.

2. უნივერსიტეტმა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელმა დაწესებულებამ შტატის ორდინატორს, სამსახურში მიღების დროს, უნდა ჩამოართვას ხელწერილი, რომ იგი მოვალეა იმსახუროს სახელმწიფო სამსახურში ჯანმრთელობის სახალ-

## ПОЛОЖЕНИЕ

**Об обязательной государ твенной службе для лиц, окончивших стаж штатных научных работников (ординаторов) клиник и штатных ординаторов центрально-показательных лечебно-санитарных учреждений Народного Комиссариата Здравоохранения.**

1. Все штатные научные работники клиник (ординаторы) и штатные ординаторы центрально-показательных лечебно-санитарных учреждений Народного Комиссариата Здровохранения, по окончании срока работ при клиниках и центрально - показательных лечебно-санитарных учреждениях Наркомздрава, обязаны отслужить на государственной службе по указанию Наркомздрава и его местных органов в течении того же срока, какой проведен ими на работе при клинике или лечебно-санитарных учреждениях Наркомздрава.

2. Университет и центрально-показательные учреждения Наркомздрава при приеме на службу штатных ординаторов должны требовать от последних подписки о принятии последними на себя обязанности отбыть обязательную государственную службу по указанию Наркомздрава и его местных органов в течении срока,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების განკარგულებით იმ ვადის განმავლობაში, რაც ამა დებულების პირველ მუხლშია გათვალისწინებული.

3. 1 და მე-2 მუხლი გავრცელდება აგრეთვე კლინიკის ყველა იმ სამეცნიერო მომუშავეზე (ორდინატორზე) და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულების შტატის ორდინატორზე, რომელიც ამა დებულების გამოქვეყნების დღისათვის სამსახურში იმყოფება.

4. ის, ვინც უარს განაცხადებს მე-2 მუხლში აღნიშნული ხელწერილის მიცემაზე, დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულ იქნეს თანამდებობისაგან.

5. უკეთუ კლინიკის სამეცნიერო მომუშავე (ორდინატორი) არჩეულ იქნა მასწავლებლად, იგი ამით თავისთავად განთავისუფლდება 1 მუხ. გათვალისწინებული სავალდებულო სამსახურისაგან; ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ-საჩვენებელი დაწესებულების ორდინატორის განთავისუფლება კი სავალდებულო სახელმწიფო სამსახურისაგან შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის განკარგულებით.

6. უკეთუ სამი თვის განმავლობაში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოები ვერ შესძლებენ სტაჟ-დამთავრებული ორდინატორისათვის მისი სპეციალობის მიხედვით ადგილის მიცემას, იმ შემთხვევაში იგი (ორდინატორი) ვალდებულობისაგან განთავისუფლდება.

7. უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ-საჩვენებელი დაწესებულების დირექტორი ვალდებულია მიაწოდოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ცნობები იმ ორდინატორების შესახებ, რომელთაც უთავდებათ მუშაობის ვადა. ეს ცნობა უნდა გაიგზავნოს

предусмотренного ст. 1 настоящего Положения.

3. Ст. 1 и 2 распространяются также на всех научных работников клиник (ординаторов) и штатных ординаторов центрально-показательных лечебно-санитарных учреждений Наркомздрава, находящихся на службе ко дню опубликования настоящего Положения.

4. Лица, отказавшиеся от дачи указанной подписки, немедленно освобождаются от занимаемой должности.

5. В случае избрания на должность преподавателя, научные работники клиник (ординаторы) тем самым освобождаются от обязанности отбывать службу по ст. 1, а ординаторы центрально-показательных учреждений Наркомздрава могут быть освобождены от обязательной государственной службы в исключительных случаях по распоряжению Наркомздрава.

6. В случае, если органы Наркомздрава не смогут в течении 3 х мес. предоставить окончившему стаж ординатору места по специальности, он считается свободным от обязательства.

7. Правление Университета и директора центрально-показательных учреждений обязаны сообщать Наркомздраву об ординаторах, окончивших срок работы не позже, чем за 3 месяца до окончания срока, на предмет занесения их в списки для получения должностей.

Зам. председателя Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии *С. Джугели.*

Управляющий делами Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. апреля 13.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 86 от 17 апреля 1926 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა უგვიანეს სამი თვისა ვადის გასვლამდე, რათა აღნიშნული ორდინატორები მოთავსებულ იქნენ სიაში თანამდებობის მისაღებად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართვ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. აპრილის 13.
ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-86 №-ში 1926 წ. აპრილის 17.

---

**სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი.**

**Распоряжения Совета Народных Комиссаров.**

## 54. ცირკულარულად.

**სახალხო კომისარიატებს.**

**ასლი—საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს და მის განყოფილებებს.**

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს ხელი შეუწყოს რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის განვითარების საქმეს საჭირო სესხის მიწოდებით.

საბანკო სესხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის სწრაფი ზრდა-განვითარება მოითხოვს ფინანსიურ დახმარებას და, სათანადო რესურსების სიმცირის გამო, მთავრობა მოკლებულია საშუალებას ფართოდ დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი შეძლებისდაგვარად აწვდის მსესხებლებს საჭირო კრედიტს, მაგრამ დასახული მიზნის უფრო ფართოდ განხორციელებას ბანკი შესძლებს მხოლოდ მაშინ, თუ მას ექნება სათანადო თანხები სესხის გასაცემად.

ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ბანკის ანაბრების განსავითარებლად, რაც საშუალებას მისცემს ბანკს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართოდ დააკმაყოფილოს წამოჭრილი მოთხოვნილებანი ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის დარგებში საჭირო კრედიტის მიწოდებით.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ მოახდინოთ განკარგულება თქვენი ქვემდებარე დაწესებულებისადმი, რათა მათ თავისუფალი თანხები მოათავსონ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში მიმდინარე ანგარიშზე.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქმეთა მმართვ. **ალ. სალარიძე.**

1926 წ. აპრილის 3.

ტფილისი—სასახლე.
№ 4769.

---

## 55. ცირკულირულად.

### სახალხო კომისარიატებს.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები აკისრებენ სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებს ამა თუ იმ საჭიროებისათვის ისეთი ხარჯების გაწევას, რომელიც მათი ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული არ არის. ეს გარემოება იწვევს სამრეწველო საქონლის ფასების გადიდებას, რაც სავსებით ეწინააღმდეგება რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის გაძლიერების საქმეს.

დღევანდელ პირობებში, როდესაც ხელისუფლების უმთავრესი ყურადღება ჩვენი ქვეყნის წარმოების გაჯანსაღების, მისი პროდუქციის ფასების შემცირებისა და სასოფლო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისაკენ არის მიქცეული, შეუძლებელია იხარჯებოდეს რაიმე თანხა ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მით უმეტეს, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით არც იმდენად ძლიერნი არიან, რომ მათ შეეძლოთ თავიანთ საშუალებებიდან ასეთი ხარჯების გაწევა.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ მოახდინოთ განკარგულება თქვენი ქვემდებარე დაწესებულებებისადმი, რათა მათ არავითარ შემთხვევაში არ მიმართონ სამეურნეო ორგანოებს ამა თუ იმ საჭიროებისათვის დახმარების

აღმოსაჩენად, ხოლო სამეურნეო ორგანიზაციებმა კი ერთხელ და სამუდამოდ შესწყვიტონ მათი ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევა.

უკიდურეს შემთხვევაში, უკეთუ ასეთი ხარჯების გაწევა აუცილებელი საჭიროებით იქნება გამოწვეული, საჭიროა ამის შესახებ წინასწარ გამოითხოვონ ნებართვა ს. ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოსაგან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე**

1926 წ. აპრილის 5.
№ 4821.

## 56 ცირკულარულად.

### სამაზრო აღმასკომებს.

საბჭოების სამაზრო ყრილობებზე მიღებულ დადგენილებებისა და აგრეთვე ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/წ. თებერვლის 15-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (გამოქვეყნებული გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში ა/წ. № 1107) თანახმად, წინადადება გეძლევათ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად და შესანახად ყოველ საჭირო შემთხვევაში დააწესოთ ადგილობრივ მცხოვრებლებზე სათანადო შრომის ბეგარა ყველა იმ ზომების დაცვით, რაიც გათვალისწინებულია ა. კ. ცაკის ზემოაღნიშნულ დადგენილებით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. აპრილის 6.
№ 4884.

## 56. Циркулярно.

### УЕЗДНЫМ ИСПОЛКОМАМ.

Согласно постановления Центрального Исполнительного Комитета ЗСФСР от 15 феврктя с. г. (опубликовано в газ. „Заря Востока“ № 1107) а также уездных с'ездов советов, предлагается вам установить дорожную повинность сельского населения для устройства и содержания дорог местного значения, с соблюдением всех мероприятий, кои предусматрены вышеозначенным постановлением ЗакЦИК'а.

Зам. председателя Совета Народных Комис. ССР Грузии *С. Джугели.*

Управляющий делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ал. Саларидве.*

1926 г. апреля 6.

№ 4884.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვ. № 1687 მთავლიტი № 870 ტირაჟი 2000